პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №11

ქ. თბილისი 13.07.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ელგუჯა მელაძე – ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცის პრეზიდენტი; საბჭოს სხდომის თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);
ანასტასია ქიტიაშვილი – სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - საქართველოს (MCA – Georgia) პროექტის - „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" პროფესიული განათლების ექსპერტი, საბჭოს მდივანი;
მამია ჯანჯალია - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის" დირექტორი;
მალხაზ შურღულაია - ა(ა)იპ - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლობის პროფესიული (დუალური) განათლებისა და კვალიფიკაციების ექსპერტი;
ეკატერინე ნარეშელაშვილი – სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფის უფროსი;
მიხეილ ჭელიძე – ა(ა)იპ - საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის აღმასრულებელი პრეზიდენტი;
ელენე ალადაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის წევრი, ა(ა)იპ - სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდის ფილიალის საქართველოში საზოგადოებასთან ურთიერთობისა და განვითარების დირექტორი;
მანანა მახარაშვილი - შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ Nataly Academy-ის" ხარისხის მენეჯერი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;

ნინო ხითარიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარების კოორდინატორი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაცია-აკრედიტაციის საბჭოების კოორდინაციის სპეციალისტი.
თამარ გულედანი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ადმინისტრირების სპეციალისტი;
ნინო ბაბალაშვილი - მოდულური/დუალური საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის ხელშეწყობის ქვეპროგრამის კონსულტირების სპეციალისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ბარაკონის წარმომადგენლები:
გიორგი ფოფხაძე - დირექტორი
ნინო ბოკერია - დირექტორის მოადგილე
ნინო ხაჩიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მარიამ მიქაძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის წარმომადგენლები:
ეკა კანდელაკი - ყანჩაველი - ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერი
რუსუდან ჩიტალაძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერი

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის'' წარმომადგენლები:
რაინდი ლომაია - დირექტორი
ლელა ბოკუჩავა - ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების ხელმძღვანელი
სოფიო დანელია - საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ლანა ბახტაძე - სასწავლო ნაწილის უფროსის მოადგილე

შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს წარმომადგენელი:
ნანული ზარიძე - დირექტორი

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის წარმომადგენლები:
რევაზ უზუნაძე - დირექტორი
შორენა უზუნაძე - დირექტორის მოადგილე
მზია ბაკურიძე - ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერი
ინგა შალამბერიძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენლები:

მარიამ მესხიშვილი - დირექტორი
ნატალია ბარათელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მარიამ წივწივაძე - იურისტი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ირინე ფხაკაძე;
მარიამ მიქაძე;
იაზონ დანელია;
ლევან მადათოვი;
მარინა გოგოლაძე;
ვანო ოთხოზორია;
მარინე გვრიტიშვილი;
ნატო ალავიძე;
პაატა ცაგარეიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:30 საათზე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ თუ დამსწრე საზოგადოება წინააღმდეგი არ იქნებოდა საბჭოს სხდომის ოქმის მოსამზადებლად მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩანაწერის მომზადება და ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის ხელმოწერისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ბარაკონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
2. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლისთვის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე საკითხის განხილვა
3. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის №01 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
4. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონისთვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
5. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 29 სექტემბრის №63 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
6. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 19 ივლისის №24 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
7. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
8. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
9. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის №15 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
კახაბერ ერაძემ შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, დღის წესრიგით მერვე საკითხად წარმოდგენილი საკითხის განხილვის გადატანის შესახებ. აღნიშნა, რომ შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვაში ობიექტური მიზეზების გამო მონაწილეობას ვერ მიიღებს ექსპერტთა ჯგუფის ვერცერთი წევრი. აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ცენტრში წერილობით წარმოადგინა შუამდგომლობა აღნიშნული განსახილველი საკითხის გადადების მიზნით.

კახაბერ ერაძემ შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, დღის წესრიგით მეცხრე საკითხად წარმოდგენილი საკითხის პირველ საკითხად განხილვის შესახებ. ასევე შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, დღის წესრიგს დაემატოს შემდეგი საკითხი: ,,სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის №14 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა''.

ლევან მადათოვმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე და მესამე საკითხები განხილულიყო შპს ბარაკონის ავტორიზაციის საკითხის განხილვამდე.

კახაბერ ერაძის და ლევან მადათოვის შუამდგომლობის საფუძველზე საბჭომ კენჭისყრით შეცვალა სხდომის დღის წესრიგი და განსაზღვრა შემდეგნაირად:

1. შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის №15 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
2. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლისთვის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე საკითხის განხილვა
3. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის №01 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
4. შპს ბარაკონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
5. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონისთვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა
6. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 29 სექტემბრის №63 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
7. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 19 ივლისის №24 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა
8. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
9. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის №14 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

1. **შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის №15 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა**

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა კახაბერ ერაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ავტორიზაციის დებულებაში 2018 წლის 31 იანვრის N07/ნ ბრძანებით შეტანილი ცვლილების საფუძველზე, დებულების მე-40 მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაევალათ გადაენაწილებინათ ადგილები ყველა, მათ შორის ე. წ. საგნობრივ პროგრამაზეც და 2018 წლის 1 მარტამდე შუამდგომლობით მიემართათ შესაბამისი საბჭოსათვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების განსაზღვრასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. აქვე აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა წარმოადგენს თითოეული პროგრამის მიხედვით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების ჯამს.

კახაბერ ერაძემ საბჭოს მოახსენა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებით შეიცვალა ზოგადი სავალდებულო მოდულები, რის საფუძველზეც, ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის გ) პუნქტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით (პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს), დაწესებულებებმა ავტორიზაციის დებულების 30[2] მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე წარმოადგინეს ინფორმაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების თაობაზე.
ასევე აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებებში კორექტირდება მისანიჭებელი კვალიფიკაციების ფორმულირება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 დანართის შესაბამისად და მიეთითება პროფესიული სპეციალიზაციის კოდი.

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის №15 გადაწყვეტილებაში ცვლილება ეხება საგნობრივ პროგრამებზე კვოტის განსაზღვრასა და მოდულური პროგრამების კრედიტების ცვლილებას. გარდა ამისა კოლეჯმა ცენტრში წარმოდგენილი წერილით მოითხოვა რამდენიმე საგნობრივი პროგრამის გაუქმება. ამდენად, ცენტრში შემოვიდა დაწესებულების განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების კორექტირების საჭიროების შესახებ.

დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 2016 წლის 8 ივლისის №15 გადაწყვეტილებით განისაზღვრა 400-ით, რაც წარმოდგენილ პროგრამებზე სრულად

გადანაწილებულია. შესაბამისად, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა უცვლელად რჩება.

კახაბერ ერაძემ საბჭოს წარუდგინა ცვლილების პროექტი. აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროექტს ასევე იცნობს კოლეჯი, რაც დაადასტურა კოლეჯის დირექტორმა, მარიამ მესხიშვილმა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის №15 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ივლისის N15 გადაწყვეტილებაში:

ა) გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 400019948) 2016 წლის 11 ივლისიდან 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

ბ) გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ფარმაცევტის თანაშემწე	მეხუთე	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090351	120	ქართული	60	ქ. თბილისი, ქსნის ქ. №35
2	ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090551	90	ქართული	20	ქ. თბილისი, ქსნის ქ. №35
3	ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090551	90	ინგლისური	10	ქ. თბილისი, ქსნის ქ. №35
4	აუდიტორის ასისტენტი	მესამე	აუდიტორის ასისტენტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020153	60	ქართული	5	ქ. თბილისი, ქსნის ქ. №35
5	ინფორმაციული ტექნოლოგი	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040153	35	ქართული	15	ქ. თბილისი, ქსნის ქ. №35

6	ინფორმაციული ტექნოლოგი	მესამე	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040153	35	ინგლისური	10	ქ. თბილისი, ქსნის ქ. №35
7	კბილის ტექნიკოსი	მესამე	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090251	60	ქართული	10	ქ. თბილისი, ქსნის ქ. №35
8	კბილის ტექნიკოსი	მეოთხე	კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090251	30	ქართული	10	ქ. თბილისი, ქსნის ქ. №35
9	კბილის ტექნიკოსი	მეხუთე	კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090251	30	ქართული	6	ქ. თბილისი, ქსნის ქ. №35
10	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	მესამე	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 060451	60	ქართული	15	ქ. თბილისი, ქსნის ქ. №35
11	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356	60	ქართული	40	ქ. თბილისი, ქსნის ქ. №35
12	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	150	ქართული	90	ქ. თბილისი, ქსნის ქ. №35

13	ბანკის ოპერატორი	მეხუთე	ბანკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020454	120	ქართული	23	ქ. თბილისი, ქსნის ქ. №35
14	ბუღალტერი	მესამე	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020151	30	ქართული	10	ქ. თბილისი, ქსნის ქ. №35
15	საბაჟო წარმომადგენელი	მესამე	საბაჟო წარმომადგენლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020353	60	ქართული	20	ქ. თბილისი, ქსნის ქ. №35

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბაგა ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (1)	მეხუთე	ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 030254	111	141	ქართული	41	ქ. თბილისი, ქსნის ქ. №35
2	ბიბლიოთეკარი (1)	მეოთხე	ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 070852	86	116	ქართული	15	ქ. თბილისი, ქსნის ქ. №35

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

2. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლისთვის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებელს საჯარო განხილვაზე წარმოადგენდნენ ეკა კანდელაკი და რუსუდან ჩიტალაძე, რომლებმაც სხდომის თავმჯდომარეს გადასცეს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. დოკუმენტი დაერთო ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ - ლევან მადათოვმა.

ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 17 მაისის N386 ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა ლევან მადათოვის და დალი კალაძის შემადგენლობით, 2018 წლის 11 და 12 ივნისს განახორციელა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის N1 სამედიცინო სასწავლებელში, მისამართზე: ქ. თბილისი, ს. კედიას ქ. N7.
აღნიშნა, რომ ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის თაობაზე განაცხადის შესაბამისად დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსების მდგომარეობის შემოწმება. განაცხადის მიხედვით დაწესებულებას სურდა პროგრამაზე არსებული 40 ადგილი გაეზარდა 160 სტუდენტით, თუმცა, ვიზიტისას ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებას შეუძლია კვოტის გაზრდა არა 160 სტუდენტით, არამედ 120 სტუდენტით (160 სტუდენტამდე). შენიშნა, რომ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება ავტორიზაციის სამივე სტანდარტს აკმაყოფილებს.

აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნაში დააფიქსირა რამდენიმე რეკომენდაცია:

1. სასურველია არასრულწლოვან პირთან გაფორმებული ხელშეკრულების შემთხვევაში, დაწესებულების რეგულაცია ითვალისწინებდეს პირად საქმეში

არასწულწლოვნი პირის დაბადების მოწმობის და კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლის არსებობას;

2. სასურველია სამოქმედო გეგმაში აისახოს ყველა ის მნიშვნელოვანი აქტივობა, რომელთა განახორციელებასაც გეგმავს დაწესებულება საანგარიშო წლის მანძილზე;
3. სასურველია დაწესებულებამ იზრუნოს ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის გაფართოებაზე;
4. მოდულის სწავლების პრაქტიკის ბაზაზე „გატანის" შემთხვევაში, პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდეს თეორიული კომპონენტის გავლისათვის აუცილებელი გარემოს არსებობასაც;
5. სასურველია დაწესებულებამ იჯარის ვადის გასვლამდე იზრუნოს ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე, რათა ხელი არ შეეშალოს დაწესებულების სრულფასოვნად ფუნქციონირებას, ვინაიდან იჯარის ხელშეკრულების ვადა იწურება 2019 წელს.
6. სასურველია სამედიცინო კაბინეტზე პასუხისმგებელ პირს დაევალოს მედიკამენტების ვადების კონტროლი და მათი მარაგების განახლებაზე ზრუნვა.

ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ ამჟამად კოლეჯს აქვს უფლება განახორციელოს 8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. შენიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში (განათლების მართვის სისტემაში) გადამოწმებისას იყო გარკვეული შეუსაბამობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებასთან. გადაწყვეტილების მიხედვით კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ადგილების ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 20 სტუდენტით, ხოლო ბაზაში ფიქსირდებოდა 21 სტუდენტი, ასევე ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კვოტა განსაზღვრული იყო 15 სტუდენტით, ხოლო ბაზაში ფიქსირდებოდა 19 სტუდენტი.

დაწესებულების წარმომადგენლების ახსნა-განმარტებით, ზემოაღნიშნული გამოწვეული იყო დაწესებულებასა და ცენტრს შორის არასწორი კომუნიკაციით (ვერ გაიგეს ცენტრის მიერ გაცემული მითითება ზუსტად), მათი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამებზე ექთნის თანაშემწის ჯგუფი სწავლას დაამთავრებს 2018 წლის 7 ივლისს, ხოლო კბილის ტექნიკოსის ჯგუფი 20 ივლისს, ამდენად, 20 ივლისის შემდეგ დაწესებულებას ექთნის თანაშემწის პროგრამაზე დარჩება 5 სტუდენტი, ხოლო კბილის ტექნიკოსის პროგრამაზე არცერთი. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით მიაწოდეს ინფორმაცია ხარისხის ცენტრს და ითხოვეს ზღვრული რაოდენობები ამ პროგრამებზე განსაზღვრულიყო სამომავლო მიღების შესაბამისად: 15 და 20 პროფესიული სტუდენტი. ვიზიტისას განუმარტეს ექსპერტებს, რომ ცენტრისათვის ტექნიკურად მოხდა არაზუსტი ინფორმაციის მიწოდება, და ჯამურად არ აჭარბებდნენ, დაწესებულებისათვის განსაზღვრულ თავდაპირველ კვოტას (500 ადგილი).

ექსპერტმა შენიშნა, რომ გარკვეული ტექნიკური საკითხები დაწესებულებამ ვიზიტამდე და ვიზიტის პერიოდში გაასწორა. ცენტრში გადმოგზავნილი დოკუმენტაცია შეცდომით იქნა წარმოდგენილი, არაზუსტი ვერსია, ამიტომ დაწესებულებაში ტექნიკურად განახლებული

ვერსიები დახვდათ ექსპერტებს. ექსპერტებმა განიხილეს დაწესებულებაში წარმოდგენილი დოკუმენტები. ცენტრში შეცდომით გადმოგზავნილი იყო არასრულად ადაპტირებული პროგრამა. ადგილზე კი ექსპერტებმა შეამოწმეს სრულად ადაპტირებული პროგრამა.
ლევან მადათოვმა შენიშნა, რომ აღჭურვილობის ჩამონათვალიდან ადგილზე ვერ იქნა მოძიებული არტაშანი, რომელიც დაწესებულებამ შეიძინა ვიზიტის პერიოდში და წარმოადგინა.
დაწესებულებამ, განაცხადის შემოტანამდე, დამატებით შექმნა C სასწავლო გარემოები, რის საფუძველზეც დაწესებულებას შეუძლია გაზარდოს პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. აქვე შენიშნა, რომ დაწესებულება ასევე ახორციელებს პრაქტიკოსი ექთნის საგნობრივ პროგრამას, თუმცა აღნიშნული C გარემოები მხოლოდ მოდულური პროგრამისათვის გამოიყენება.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა საბჭოს წევრებს კითხვები ხომ არ ჰქონდათ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარესთან. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რუსუდან ჩიტალაძემ, საგნობრივ პროგრამებზე კვოტის განსაზღვრასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ცენტრში თვდაპირველად წარმოადგინეს ინფორმაცია სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის შესაბამისად. თუმცა, რაღაც მიზეზის გამო, სატელეფონო საუბრის შემდეგ, ტექნიკური გაუგებრობის გამო კოლეჯმა სამომავლოდ მისაღები ზღვრული რაოდენობები გათვალა და წარმოადგინა აღნიშნული ზღვრული რაოდენობები ცენტრში ოფიციალურად. აქვე აღნიშნა, რომ ცენტრში დარეკეს და იკითხეს რა არსებითი მნიშვნელობა აქვს საგნობრივ პროგრამებზე კვოტის განსაზღვრას, აღნიშნეს, რომ ცენტრის წარმომადგენელმა მათ განუმარტა, რომ საგნობრივ პროგრამებზე კვოტის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

კახაბერ ერაძემ ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარისაგან ითხოვა თანხმობა, ჩართულიყო საკითხის განხილვაში, რაზეც თანხმობა მიიღო. ის დაინტერესდა დაწესებულებამ კონკრეტულად ცენტრის რომელი თანამშრომლისგან მიიღო ასეთი განმარტება. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი პირადად არ გასაუბრებიან, ცენტრის თანამშრომელს ესაუბრა მათი თანამშრომელი. კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ მათი ასეთი განცხადებით ცენტრის თანამშრომლის პასუხისმგებლობის საკითხი დგება, ამიტომ დაინტერესდა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ვინ შეიყვანა შეცდომაში დაწესებულება. აქვე შენიშნა, რომ საგნობრივ პროგრამებზე კვოტის განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც კოლეჯს მის მიერ წარმოდგენილი ზღვრული რაოდენობების შესაბამისად დარღვეული აქვს ორ პროგრამაზე დაფიქსირებული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.

ლანა გაჩეჩილაძემ ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარისაგან ითხოვა თანხმობა, ჩართულიყო საკითხის განხილვაში, რაზეც ასევე თანხმობა მიიღო. მან აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებებში ცვლილებების დროს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საუძველზე წინასწარ დგება საბჭოს

გადაწყვეტილების პროექტი, რომელიც ეგზავნება დაწესებულებას და მასთან შეთანხმებული ვერსია წარედგინება საბჭოს სხდომაზე. დაწესებულების მიერ პირველად წარმოდგენილი წერილის საფუძველზე შემუშავებული გადაწყვეტილების პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ გამოთქვა მოსაზრება კვოტების გადანაწილების კორექტირების შესახებ, რის შემდეგაც განემარტათ, რომ აღნიშნულ ცვლილებას საბჭო ვერ განიხილავდა ოფიციალური წერილით მიმართვის გარეშე. აღნშნული განმარტების საფუძველზე კოლეჯმა წარმოადგინა განახლებული ინფორმაცია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ. თუმცა, შენიშნა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კოლეჯის წარმომადგენლები განმარტავენ, რომ მათ კვოტები განსაზღვრეს სამომავლო მიღებისთვის, ლოგიკურია, რომ მათ რაოდენობები უნდა განესაზღვრათ მიღების დროისათვის ფაქტობრივი სტუდენტების რაოდენობის და მისაღები სტუდენტთა რაოდენობის ჯამით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯი არ აჭარბებს სტუდენტთა მთლიან ზღვრულ რაოდენობას, 500-ს.

ელგუჯა მელაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების არგუმენტი, რომ სტუდენტთა მთლიან ზღვრულ რაოდენობას არ აჭარბებს მიუღებელია მისთვის, რამდენადაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ,,პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა გულისხმობს შესაბამისი საბჭოს მიერ დაწესებულებისათვის თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობების ჯამს. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, შესაბამისი საბჭო დაწესებულებას განუსაზღვრავს, ასევე პროგრამის განხორციელების ადგილს.'' მისი მოსაზრებით დარღვეულია დებულების აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ზღვრული რაოდენობები.

მამია ჯანჯალიამ იკითხა, კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროგრამაზე, რამდენ სტუდენტზე გამოაცხადებენ მიღებას არსებული მონაცემების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამაზე მომავალი მიღების გათვალისწინებით მიუთითეს რაოდენობა 20, ამიტომ შესაძლებელია მიღება გამოცხადდეს 20 სტუდენტისათვის. მამია ჯანჯალიამ აღნიშნა, რომ ლოგიკურია 21 სტუდენტის მიღების შემთხვევაში დიპლომს ვერ გასცემენ. ანალოგიურია, რომ ამ დროისათვის პროგრამაზე ირიცხება 21 სტუდენტი. შესაბამისად დარღვევაა და აღნიშნულ სტუდენტებისათვის დაწესებულება დიპლომს ვერ გასცემს.

მანანა მახარაშვილი დაინტერესდა აღნიშნულ ორი პროგრამაზე ყველა სტუდენტი ასახულია თუ არა ელექტრონულ ბაზაში. ლევან მადათოვმა დაადასტურა, რომ ყველა სტუდენტი ასახულია ბაზაში. შესაბამისად, მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ მათზე დიპლომის გაცემის არანაირი პრობლემა არ არსებობს. ლევან მადათოვმა შენიშნა, რომ ეს სტუდენტები

ჩარიცხული არიან ავტორიზაციის დებულებაში ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელებამდე.

ანასტასია ქიტიაშვილის მოსაზრებით აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ უზუსტობას და სერიოზული სამართლებრივი შედეგი არ მოყვება ამას.

თავმჯდომარე დაინტერესდა, რა გზით შეიძლება აღმოიფხვრას აღნიშნული ხარვეზი.

ლევან მადათოვის მოსაზრებით ტექნიკური უზუსტობის გამო შესაძლებელია გასწორდეს საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის № 01 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საბჭოს 2018 წლის 8 მაისის № 82 გადაწყვეტილება.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ 2018 წლის 8 მაისს საბჭოს სხდომაზე დაწესებულების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ და დაადასტურეს რომ იცნობდნენ აღნიშნულ გადაწყვეტილებას და შესაბამისად აღნიშნულ პროგრამებზე მითითებული სტუდენტთა ზღვრულ როდენობას. დაწესებულებამ გამოხატა თავისი პოზიცია და საბჭომ შესაბამისად დაადასტურა. მან არასწორად მიიჩნია საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანა, რადგანაც ეს გამოწვეული არ არის საბჭოს ან ცენტრის მიზეზით და არც ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენს. თუ კოლეჯს სურს კონკრეტულ პროგრამაზე კონტინგენტის გაზრდა, ამისათვის სათანადო პროცედურებია განსაზღვრული ავტორიზაციის დებულებით და ამ გზით უნდა წავიდნენ. მანვე შენიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მიერ განსაზღვრული სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადაჭარბება არის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი.

ელგუჯა მელაძემ აღნიშნა, რომ საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად. აღნიშნა ფაქტი, რომ დაწესებულებამ სიზუსტით ვერ განსაზღვრა სტუდენტთა დასაფიქსირებელი რაოდენობა პროგრამების მიხედვით. ელგუჯა მელაძე დაინტერესდა, საბჭოს სხდომის დროისათვის რამდენი აქტიური სტუდენტი ჰყავთ აღნიშნულ პროგრამებზე.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ექთნის თანაშემწის პროგრამაზე ირიცხება 5 სტუდენტი, ხოლო - კბილის ტექნიკოსის ჯგუფი 20 ივლისს ასრულებს სწავლას და შესაბამისად ამ დრომდე ირიცხება 21 სტუდენტი.

თავმჯდომარემ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ლევან მადათოვს, აღნიშნული გარემოება არის თუარა ხარვეზი.

ლევან მადათოვმა განმარტა, რომ ვიზიტის მიზანი იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადის შესაბამისობის შემოწმება, რომლის მიხედვითაც ექსპერტთა შეფასებით ავტორიზაციის სტანდარტები არ ირღვევა. დასკვნაში ექსპერტებმა აღნიშნეს ფაქტობრივი გარემოებები, მათ შორის

პროგრამების მიხედვით სტუდენტთა რაოდენობები და სწორედ ამ დროს გამოიკვეთა კვოტის გადაჭარბება ორ პროგრამაზე. მისი მოსაზრებით აღნიშნული ხარვეზია, თუმცა ეს ხარვეზი ტექნიკურია, რადგან სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესში პროგრამების მიხედვით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული არ იყო. თუმცა, აღნიშნა, რომ სრულად ტექნიკურიც არ შეიძლება ჩაითვალოს, რამდენადაც დაწესებულებამ საბჭოს სხდომაზე დაადასტურა აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მოცემული მონაცემების სისწორე.

ელგუჯა მელაძემ აღნიშნა, რომ განსახილველ საკითხის კენჭისყრამდე საბჭომ უნდა გადაწყვიტოს აღნიშნული ხარვეზის გამო კოლეჯს უნდა გაუუქმდეს თუ არა ავტორიზაცია. კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ ცენტრის ვალდებულებაა ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების უზრუნველყოფა. შესაბამისად ექსპერტებმა ვიზიტისას გამოვლენილი გარემოებები უნდა შეაფასონ, მითუმეტეს, რომ სტუდენტთა ადგილების გაზრდის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში არსებული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინება არსებითია. დასკვნაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებზე საბჭომ უნდა იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება. მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაციის დებულების მე-6-მე-8 მუხლების მიხედვით განსაზღვრული სტანდარტები არაა დარღვეული, თვითონ დებულება და კონკრეტულად კი მისი 33-ე მუხლის მე-4 პუნქტი წარმოადგენს ასეთ შემთხვევაში ავტორიზაციის გაუქმების საფუძველს.

სხდომის თავმჯდომარემ ლევან მადათოვს სთხოვა, რომ დაედასტურებინა ექთნის თანაშემწის და კბილის ტექნიკოსის პროგრამებზე ფიქსირდება კვოტის გადაჭარბება. ლევან მადათოვმა დაადასტურა, რომ ვიზიტის პერიოდში ორივე პროგრამაზე ფიქსირდებოდა გადაჭარბება, აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების ცნობით ამ დროისათვის გადაჭარბება ფიქსირდება მხოლოდ ერთ - კბილის ტექნიკოსის პროგრამაზე. შენიშნა, რომ დაწესებულებას სტუდენტთა ჩარიცხვის პერიოდისთვის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული არ ჰქონდა.

მიხეილ ჭელიძემ აღნიშნა, რომ ერთია რომ კოლეჯმა არ იცოდა და მეორე - რომ მას უნდა ცოდნოდა კანონით განსაზღვრული ვალდებულებების და პასუხისმგებლობების შესახებ.

კახაბერ ერაძემ შენიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების ცვლილების შესახებ ცენტრმა ოფიციალურად აცნობა კოლეჯებს და ასევე შეახსენა დებულების მე-40-ე მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე ინფორმაციის წარმოდგენის დადგენილ ვადაში წარმოდგენის საჭიროების შესახებ. ლოგიკურია რომ დაწესებულებას უნდა გაეცნობიერებინა, რომ ფაქტობრივ სტუდენტთა რაოდენობაზე ნაკლები რაოდენობის წარმოდგენის შემთხვევაში არღვევდა ავტორიზაციის დებულების მოთხოვნებს. მსგავსი შემთხვევა სხვა კოლეჯებთან არ დაფიქსირებულა და მათ სწორად გაიგეს აღნიშნული ნორმა.

მამია ჯანჯალიამ შენიშნა, რომ დაწესებულება პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს საკითხს. აღნიშნა, რომ კოლეჯს შეეძლო ცენტრისთვის ოფიციალური წერილით მოეთხოვა განმარტება თუ ვერ გაერკვა რას გულისხმობდა აღიშნული ჩანაწერი დებულებაში და ცენტრი ოფიციალურად წერილობით გასცემდა პასუხს მის შეკითხვაზე,

თავმჯდომარე დაინტერესდა საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები ხომ არ ჰქონდათ განსახილველი საკითხის მიმართ.

საბჭოს წევრებმა თავმჯდომარეს სთხოვეს ეთათბირათ. თავმჯდომარემ სათათბიროდ შესვენება გამოაცხადა.

სხდომა განახლდა 15 წუთის შემდეგ.

თავმჯდომარემ ლევან მადათოვს კიდევ ერთხელ სთხოვა შეეფასებინა აღნიშნული გარემოება. ლევან მადათოვმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ აღნიშნული გარემოება წარმოადგენს ხარვეზს. ავტორიზაციის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრული მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადაჭარბება არის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი, გარდა სტუდენტის სტატუსის აღდგენის ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესით ჩარიცხვისას სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადაჭარბების კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისა. თუმცა, აღნიშნული ავტორიზაციის სტანდარტის ნაწილს არ წარმოადგენს.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რომ ზეპირი მოსმენისას გამოვლენილია გარემოება, რითაც ირღვევა ავტორიზაციის დებულების მოთხოვნა და დგება კოლეჯისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი, რაზეც საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში საკითხის დამატებით გამოკვლევას აზრი არ აქვს, რადგანაც რაიმე სხვა გარემოება ვერ დადგება. ფაქტი ცნობილია გადაწყვეტილების მიმღები ორგანოსათვის, საბჭოსათვის და ეს ფაქტი დადასტურებულია კოლეჯის და ექსპერტთა ჯგუფის მიერ. თუმცა გასათვალისწინებელია საბჭოს სხვა წევრების მოსაზრებებიც.

მიხეილ ჭელიძემ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში არსებითია დაწესებულების წინასწარი განზრახვისა და კეთილსიდისიერების საკითხის შეფასებაც. ასეთ პრაქტიკას გამოიყენებდა მაგალითად ფინანსთა სამინისტროს სისტემა. აქ აშკარაა, რომ დაწესებულებას სტუდენტები ჩარიცხული ჰყავდა პროგრამებზე კვოტების დადგენამდე. მას რომ მოეთხოვა 21 და 19 სტუდენტი, რითაც კვოტას არ დაარღვევდა, საბჭო ამაზე უარს არ ეტყოდა, რადგანაც მისი გადაწყვეტილება მთლიანად ეფუძნებოდა კოლეჯის განაცხადს. შესაბამისად აქ არ სჩანს რაიმე ისეთი წინასწარი განზრახვა, რომ კოლეჯმა რაიმე სხვა ინტერესის გამო გადააჭარბა კვოტას ან ამ კვოტის შეგნებული გადაჭარბებით რაიმე სარგებელს მიიღებდა.

ანასტასია ქიტიაშვილი დაეთანხმა წარმოდგენილ პოზიციას. პოზიცია გაიზიარეს საბჭოს წევრების უმრავლესობამ.

საბჭოს წევრები დაუბრუნდნენ წესრიგით გათვალისწინებული კონტინგენტის გაზრდის საკითხის განხილვას.

მამია ჯანჯალიამ აღნიშნა, რომ დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმების მომხრე ის არ არის. თუმცა, შენიშნა, რომ აღნიშნული დარღვევის ფაქტი კოლეჯის მიერ დაშვებული

შეცდომითაა გამოწვეული, ამდენად მიიჩნია რომ გაუმართლებელია კოლეჯს დამატებითი სტუდენტების მიღების შესაძლებლობა მიეცეს.

მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ პრაქტიკოსი ექთნის პროგრამას თბილისში არსებული კოლეჯების უმრავლესობა ახორციელებს და მიიჩნევს რომ სამედიცინო დაწესებულებებში არსებული კადრების რაოდენობით და კვალიფიკაციით შეუძლებელია კოლეჯში დამატებით 160 სტუდენტის მიღება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლისთვის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 34-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, უარი ეთქვას შპს საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებელს (ს/კ:202056764) პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის თაობაზე.

3. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის №01 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა საჭირო გახდებოდა იმ შემთხვევაში თუ წინა საკითხი დადებითად გადაწყდებოდა. შესაბამისად აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ზღვრული რაოდენობა გაიზრდებოდა. რადგან შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლისთვის ჩარჩო დო კუმენტის საფუძველზე შექმნილი პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი დადებითად არ გადაწყდა, კახაბერ ერაძემ შუამდგომლობით მიმართა საბჭოს საკითხის განუხილველად დატოვების შესახებ. საბჭოს კახაბერ ერაძის შუამდგომლობა გაითვალისწინა.

4. შპს ბარაკონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის მაძიებლის თვითშეფასების შევსებულ ფორმასა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ირინე ფხაკაძემ, მარიამ მიქაძემ და იაზონ დანელიამ.

ირინე ფხაკაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2018 წლის 21, 22 და 23 მაისს.შემდეგი შემადგენლობით: ირინე ფხაკაძე - თავმჯდომარე, შორენა ხუბუნაია, მარიამ მიქაძე, იაზონ დანელია-წევრები, რომელთაც დაევალათ შპს „ბარაკონის" პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტი მიმდინარეობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების შესაბამისად. აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულება ავტორიზებულ რეჟიმში ფუნქციონირებდა, შესაბამისად ექსპერტებს მიეცათ შესაძლებლობა დაწესებულების განვითარების დინამიკა შეეფასებინათ. კოლეჯში ხორციელდება 9 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის 7 - საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და 2 მოდულური პროგრამა.

შპს „ბარაკონის" პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ დარღვეულია ავტორიზაციის პირველი და მესამე სტანდარტების სამი ქვესტანდარტით: 1.1, 1.3 (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები), 3.2. (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი) ქვესტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების/მოდულების გადამოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის ხელისშემშლელი რიგი გარემოებები:

1. ინფორმაციის ტექნოლოგიის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support სწავლებისთვის სასწავლო რესურსში მითითებულია მხოლოდ cisco-ს სასწავლო კურსი IT Essentials 6.0 , რომელთანაც წვდომა არ უდასტურდება პროფესიული განათლების მასწავლებელს (პირადი საქმე). მას აქვს ინგლისური ენის ფილოლოგის (ბაკალავრი) და ანლისტიკის (მაგისტრატურა) აკადემიური ხარისხი. საკითხის დაზუსტების მიზნით, უკანასკნელთან გასაუბრება ვერ მოხერხდა. ცხადია, დაწესებულებას უნდა გააჩნდეს ის რესურსი, რაც აქვს მითითებული მოდულში, ამ შემთხვევაში დარგობრივი ინგლისური ენის სწავლების უზრუნველსაყოფად, პროფესიულ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს წვდომა IT Essentials 6.0, ინგლისურენოვან პროგრამასთან, რათა იხელმძღვანელოს შესაბამისი რესურსით, ასწავლოს სტუდენტებს შესაბამისი დარგობრივი ტერმინოლოგია, საბოლოოდ კი უზრუნველყოს **„დარგობრივი ინგლისური ენით“** - IT Support გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

2. ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის სწავლის შედეგებში მოცემულია ჩანაწერი: „კურსდამთავრებულს შეუძლია ტკივილის მოხსნა და მდგომარეობის შემსუბუქება, ინექცია კუნთში“, აღნიშნული გადაჭარბებულია კვალიფიკაციის შესაბამის საფეხურზე და არ შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს. პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგები იფარგლება მედიკამენტების მოხმარების წესის ცოდნით, ინფორმაციით წამლების ორგანიზმზე ზემოქმედების გვერდითი ეფექტების შესახებ და არა გარეგანი მანიპულაციების ჩატარების უნარით.

3. ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- პროფესიული სტუდენტის შეფასების მეთოდები ხშირ შემთხვევაში უნიფიცირებულია. გათვალისწინებული უნდა იქნეს სასწავლო კურსების სპეციფიკა, მისაღწევი სწავლის შედეგები და უფრო დაკონკრეტდეს გამომუშავებული პრაქტიკული უნარების შეფასების კრიტერიუმები, მაგ: ანატომიასა და ფარმაკოლოგიის საფუძვლებში, ჰიგიენასა და ავადმყოფის მოვლაში, შინაგან სნეულებანში, ახალშობილთა და ბავშვთა მოვლასა და ქირურგიული ავადმყოფის მოვლაში აქტიურობის შეფასების მიზნით: პროფესიული სტუდენტები ასრულებენ მხოლოდ პრეზენტაციას.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ოფისის მენეჯერი“ (III საფეხური) სასწავლო კურსის „საოფისე კომპიუტერული პროგრამები“ მიზანია ინტერნეტ სერვისების გამოყენება, ხოლო სწავლის შედეგი - „ელექტრონული ფოსტით სარგებლობა“; თუმცა პროფესიული სტუდენტის აღნიშნული სერვისების ცოდნისა და გამოყენების შეფასება არ ჩანს კურსის სილაბუსში სტუდენტის შეფასების რუბრიკებში, რითაც დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით

დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი“, რომლის თანახმად, კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ცხადია, შეფასების მეთოდი უნდა იძლეოდეს სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების შესაძლებლობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის შესაბამისობის გადამოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა ხელისშემშლელი რიგი გარემოებები:

5. ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კურსების „ახალშობილთა და ბავშვთა მოვლა“, „მელოგინის მოვლა“ განმახორციელებელ პირს, კვალიფიკაციით ექიმს, არ უდასტურდება კლინიკური აქტივობა, შესაბამისად, აღნიშნული კურსი ხორციელდება აუდიტორიაში, კოლეჯში, უზრუნველყოფილი ვერ იქნება პროფესიული სტუდენტებისათვის კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება-სწავლება.
- პროფესიულ პროგრამებში კურსებს „სამედიცინო ეთიკა და ურთიერთობის ფსიქოლოგია“ განმახორციელებელი ორი პროფესიული მასწავლებლიდან ერთ-ერთს - ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრს, არ უდასტურდება შესაბამისი კვალიფიკაცია, აღნიშნული სასწავლო კურსის შინაარსი მოიცავს სამედიცინო პერსონალის კოლეგებთან და პაციენტებთან ურთიერთობების განხილვას, აღნიშნული ურთიერთობების თავისებურებანი კი უნდა ისწავლებოდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ. შენიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავს აღნიშნული კვალიფიკაციის მასწავლებლები, შესაძლებელია მათთვის ზემოაღნიშნული სასწავლო კურსების შეთავაზება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების/მოდულების გადამოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების მიმართულებები:

მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა ინფორმაციის ტექნოლოგია (მესამე საფეხური)

- მოდულების ერთ-ერთ სასწავლო რესურსად მითითებულია cisco-ს სასწავლო კრესი IT Essentials v6.0. დაწესებულებას არ ჰყავს IT Essentials v6.0 სასწავლო პროგრამის სერტიფიცირებული ინსტრუქტორი და შესაბამისად არ აქვს წვდომა აღნიშნული პროგრამის სრულ ვერსიასთან. თუმცა, დაწესებულებას აქვს აღნიშნული სასწავლო მასალა ელექტრონული სახით (CD დისკზე ჩაწერილი), ქართულ ენაზე. სასურველია აღნიშნული პროგრამის მოდულების წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებელი გახდეს cisco-ს სერტიფიცირებული ინსტრუქტორი და cisco-ს ოფიციალური ვებ-გვერდიდან განხორციელდეს სტუდენტთა სწავლება, რაც უფრო ეფექტურს გახდის სასწავლო პროცესს.

მანანა მახარაშვილი დაინტერესდა ექთნის თანაშემწის პროგრამის სწავლის შედეგებში მოცემული ჩანაწერით: „კურსდამთავრებულს შეუძლია ტკივილის მოხსნა და მდგომარეობის შემსუბუქება, ინექცია კუნთში“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის მსვლელობისას კოლეჯმა განუმარტათ, რომ აღნიშნული ჩანაწერი ტექნიკური ხარვეზის შედაგადაა გადმოტანილი სხვა დოკუმენტიდან. აღნიშნულ პროგრამაზე სწავლა მიმდინარეობს და ამ პროგრამაზე მიღებას აღარ განახორციელებენ. სტუდენტებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ იციან რა შედის მათ ფუნქცია-მოვალეობებში.
მანანა მახარაშვილმა აქვე აღნიშნა, რომ ამ კოლეჯის ერთ-ერთი კურსდამთავრებული დასაქმებულია ერთ-ერთ კლინიკაში და მისი კვალიფიციურობით აღფრთოვანებულია.

მანანა მახარაშვილმა შენიშნა, რომ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობისას მიიჩნია, რომ მათი არგუმენტები მისაღებია. კითხვით მიმართა ექსპერტებს რამდენად აბათილებს ეს არგუმენტები დასკვნაში ასახულ ხარვეზებს, რომლის გამო ავტორიზაციის სამი ქვესტანდარტი ირღვევა.
ირინე ფხაკაძემ აღნიშნა, რომ თვლის, კვალიფიკაციით ექიმი- ნაკლებად ფლობს იმ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს რაც საჭიროა კვალიფიციური კადრის ჩამოსაყალიბებლად. მიიჩნევს რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნდა იყოს კვალიფიკაციით ექთანი.
მანანა მახარაშვილმა შენიშნა, რომ პრაქტიკულად სიმცირეა კვალიფიციური ექთნების, ამდენად მისთვის მისაღებია კვალიფიკაციით ექიმი იყოს ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
ირინე ფხაკაძე დაეთანხმა მანანა მახარაშვილს კვალიფიციური ექთნების ნაკლებობასთან დაკავშირებით. თუმცა, აღნიშნა, რომ წლების შემდეგაც იგივე სიტუაცია იქნება თუ კვალიფიციური ექთნის მაგივრად პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება კვალიფიკაციით ექიმი. აღნიშნა, რომ თავად არის კვალიფიკაციით ექიმი და არ ფლობს იმ პრაქტიკულ უნარებს რაც საჭიროა პაციენტს ჩაუტარდეს ექთნის მიერ. მამია ჯანჯალია დაეთანხმა მის მოსაზრებას.
კოლეჯის წარმომადგენელმა, ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ ამ დროისათვის უკვე მოიძიეს პიროვნება კვალიფიკაციით ექთანი, რომელიც ჩართული იქნება პროგრამის განხორციელებაში.

თავმჯდომარე დაინტერესდა სად განახორციელებს კოლეჯი საავტორიზაციოდ წარმოდგენილ პროგრამებს.

კოლეჯის დირექტორმა, გიორგი ფოფხაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება მდებარეობს ქ. თბილისში, მის: ბუდაპეშტის ქ. №1ბ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბარაკონის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 258-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, შპს ბარაკონს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204877231) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 258-ით.

დანართი

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	150	ქართული	66	ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №1ბ
2	მასაჟისტი	მესამე	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090651	60	ქართული	3	ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №1ბ
3	ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090551	90	ქართული	24	ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №1ბ

4	კბილის ტექნიკოსი	მესამე	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090251	60	ქართული	5	ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №1ბ
5	ფარმაცევტის თანაშემწე	მეხუთე	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090351	120	ქართული	40	ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №1ბ
6	კომპიუტერული გრაფიკოსი	მესამე	კომპიუტერული გრაფიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040152	60	ქართული	24	ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №1ბ
7	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356	60	ქართული	20	ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №1

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (1)	მეხუთე	ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 030254	101	131	ქართული	40	ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №1ბ

2	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171	60	75	ქართული	36	ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №1ბ

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

5. **შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ პროგრამების დამატების მიზნით წარმოდგენილ განაცხადს და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - მარინა გოგოლაძემ, ვანო ოთხოზორიამ და მარინე გვრიტიშვილმა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მარინა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების) საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით განხორციელდა ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯში ,,კავკასიონი" მ/წ 28 მაისს ქ. ქუთაისში, ხოლო 29 მაისს ქ. თბილისში. კოლეჯს სურს განახორციელოს შემდეგი პროგრამები ,,საფინანსო სერვისები" ,,ინფორმაციის ტექნოლოგიები", ,,ბუღალტრული აღრიცხვა", ,,საოფისე საქმე" და ,,კონსულტანტ-გამყიდველი" პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მარინა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ავტორიზაციის სამივე სტანდარტს აკმაყოფილებს. ექსპერტთა დასკვნაში მოცემულია რამდენიმე რეკომენდაცია, რაც გამოწვეულია ტექნიკური ხასიათის ხარვეზებით. აღნიშნა, რომ სხვა სახის ხარვეზები არ გამოკვეთილა.

მარინე გვრიტიშვილმა აღნიშნა, რომ კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"-სთან და არა მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შეგეგების უმრავლესობა, როგორიცაა დეპოზიტები, ანგარიშების გახსნა, ბალანსის შედგენა და ა.შ. ამადენად კოლეჯი საფინანსო სერვისების პროგრამის სწავლის შედეგებს სრულიად მიაღწევს.

ვანო ოთხოზორიამ შენიშნა, რომ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსები სრულიად შესაბამისია ავტორიზაციის სტანდარტის მითხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვები ხომ არ ჰქონდათ განსახილველი საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

კახაბერ ერაძემ შენიშნა, რომ საბჭოს სხდომაზე წარდგენილ ფოტოებში ფიქსირდება წარწერები აუდიტორიებზე, როგორც ფაკულტეტები. გამოთქვა მოსაზრება, რომ სტუდენტებისათვის შეცდომაში შემყვანი შეიძლება იყოს და თავი მიიჩნიოს როგორც

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტად და ჰქონდეს მოლოდინი რომ სწავლის დასრულების შემთხვევაში მიიღებს უმაღლესის დიპლომს.
კოლეჯის დირექტორმა რაინდი ლომაიამ აღნიშნა, რომ ეს წარწერები მოიცავს ჩანაწერს პროფესიული სპეციალობების შესახებ და მხოლოდ მარკეტინგული გათვლაა და სტუდენტების შეხდომაში შეყვანას ნამდვილად არ აქვს ადგილი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შენიშნა, რომ აღნიშნულის შესახებ დაწესებულებას ადგილზე გაესაუბრნენ და კოლეჯის წარმომადგენლებმა მოახსენეს, რომ ეს წარწერებიანი აბრები მოიხსნებოდა.

თავმჯდომარე დაინტერესდა აღნიშნულ პროგრამებზე დაწესებულება მისამართების მიხედვით რამდენი სტუდენტის მიღებას შეძლებს. მარინა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ კოლეჯს სურს დასამატებლად წარმოდგენილ პროგრამებზე მიიღოს 342 პროფესიული სტუდენტი, ხოლო ექსპერტების შეფასებით შესაძლებელია 272 სტუდენტის მიღება, მათ შორის პროგრამების მიხედვით:
საოფისე საქმე - 32 ქ. ქუთაისში, 31 ქ. თბილისში
საფინანსო სერვისები - 32 ქ. ქუთაისში, 31 ქ. თბილისში
ინფორმაციის ტექნოლოგია - 32 ქ. ქუთაისში, 32 ქ. თბილისში
ბუღალტრული აღრიცხვა - 26 ქ. ქუთაისში, 32 ქ. თბილისში
კონსულტანტ-გამყიდველი - 24 ქ. ქუთაისში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონისთვის'' საოფისე საქმის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონისთვის'' საფინანსო სერვისების მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონისთვის'' ინფორმაციის ტექნოლოგიის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონისთვის'' ბუღალტრული აღრიცხვის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონისთვის'' კონსულტანტ-გამყიდველის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ,,კავკასიონს'' (ს/კ:412683813) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საოფისე საქმე (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 020369	59	89	ქართული	32	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
							31	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. №6

2	საფინანსო სერვისები (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 020456	51	66	ქართული	32	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
							31	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. №6
3	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171	60	75	ქართული	32	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
							32	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. №6
4	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ-აღრიცხვაში 020156	99	129	ქართული	26	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2
							32	ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. №6
5	კონსულტანტ-გამყიდველი (1)	მესამე	კონსულტანტ-გამყიდველის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020256	66	81	ქართული	24	ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

6. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 29 სექტემბრის №63 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 29 სექტემბრის №63 გადაწყვეტილებაში ცვლილების საჭიროება გამოიწვია დღევანდელი საბჭოს დღის წესრიგით განსაზღვრულმა წინა, მეხუთე საკითხმა. კოლეჯმა მოიპოვა დამატებით ხუთი პროგრამის განხორციელების უფლება, რომლებზეც სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ჯამურად შეადგენს 272-ს. ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა წარმოადგენს თითოეული პროგრამის მიხედვით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების ჯამს, რაც იწვევს დაწესებულებისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის კორექტირების საჭიროებას.

აღნიშნა, რომ შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 29 სექტემბრის №63 გადაწყვეტილებით დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 638-ით. შესაბამისად შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონს“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა უნდა განესაზღვროს 910-ით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 29 სექტემბრის №63 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 29 სექტემბრის №63 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 412683813) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული

საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 910-ით.

7. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 19 ივლისის №24 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ ტექნიკური ხარვეზის შედეგად ფარმაცევტის თანაშემწის პროგრამის კვალიფიკაცია განსაზღვრულია მეხუთე საფეხურით, ნაცვლად მეოთხე საფეხურისა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 19 ივლისის №24 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 19 ივლისის №24 გადაწყვეტილებაში:

ა) გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404935273) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 205-ით.

ბ) გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090551	60	ქართული	17	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142
2	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი	მესამე	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 041060	45	ქართული	20	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142
3	კბილის ტექნიკოსი	მესამე	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090251	60	ქართული	20	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142
4	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020356	60	ქართული	20	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტების ათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ექთნის თანაშემწე (1)	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული	81	96	ქართული	20	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142

			კვალიფიკაცია 090551					
2	პრაქტიკოსი ექთანი (1)	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	134	164	ქართული	60	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142
3	ფარმაცევტის თანაშემწე (1)	მეოთხე	ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090351	104	134	ქართული	48	ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი №142

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

8. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფმა - ნატო ალავიძემ და პაატა ცაგარეიშვილმა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნატო ალავიძემ აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 22 მაისის N409 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2018 წლის 28, 29 და 30 მაისს განახორციელა გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში მისამართზე: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. № 118.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეამოწმეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მათთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და პროგრამების განხორციელების პირობები, დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები, დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი შესრულებისა და საქმიანობაში იმპლემენტაციის ხარისხი.

გადამოწმდა რესურსის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ინვენტარიზაციის აქტები; მიღება-ჩაბარების აქტები; გადახდის ქვითრები; სასწავლო ლიტერატურის აღრიცხვის დოკუმენტაცია, თავად სასწავლოო რესურსები, საბიბლიოთეკო სერვისი და სხვა. უსაფრთხოობის, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და სხვა.

ექპერტები გაესაუბრნენ ადმინისტრაციულ პერსონალს, პროგრამების ხელმძღვანელებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებს. ექსპერტებმა შერჩევითობის პრინციპით განახორციელეს ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე.

აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს უფლება განახორციელოს 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის 2 მოდულური პროგრამა (პრაქტიკოსი ექთანი და ფარმაცევტის თანაშემწე).

ვიზიტის ფარგლებში დაფიქსირდა რამდენიმე ხარვეზი:

ა) 1.4. **ქვესტანდარტი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლება, ხოლო ამავე კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ასევე, დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მე-19 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებას ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელი, რაც არ იქნა გათვალისწინებული აკადემიის თანამშრომლების მიერ, ზემოაღნიშნულ არასრულწლოვან სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმებისას. შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს თავისივე რეგულაციების აღსრულების ეფექტური მექანიზმები;

ბ) 1.4. **ქვესტანდარტი:** რეესტრის გადამოწმებით დგინდება, რომ ერთ-ერთ სტუდენტს შეჩერებული აქვს სტატუსი. ამ სტუდენტის პირადი საქმის შემოწმებით კი დგინდება, რომ მისი პირადი განცხადების საფუძველზე, დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემულია ბრძანება მასთან „აკადემიური შვებულების" გაფორმების შესახებ. დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების 27-ე მუხლით განსაზღვრულია სტატუსის შეჩერების საფუძვლები და სტატუსის აღდგენის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესები, თუმცა დებულება, „აკადემიური შვებულების" ცნებას არ მოიაზრებს და არც არსად არ არის გაწერილი რეგულაციები, თუ როგორ და რა ვადებში უნდა მოხდეს „აკადემიურ შვებულებაში" გასული პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის გაგრძელება. შესაბამისად, დაწესებულებამ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესში უნდა გაწეროს სტატუსის შეჩერების ყველა გარემოება, სტატუსის აღდგენის შემდგომ სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის გზები და შექმნას მისი აღსრულების ეფექტური მექანიზმები;

გ) 2.3. **ქვესტანდარტი:** საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების 33-ე მუხლის (ბიბლიოთეკით სარგებლობის ისტრუქცია) მე-11 პუნქტის მიხედვით - „წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი, გამონაკლისის გარეშე, ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. ასეთი წიგნებით სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს მხოლოდ სამკითხველო დარბაზში ან ქსეროქსზე გადაიღოს მისთვის საჭირო ადგილები თუ მთელი წიგნი". თუმცა, მონიტორინგის ვიზიტის მომენტში ბიბლიოთეკაში არ იდგა ასლგადამღები/სკანერი და წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი გაცემული იყო ბიბლიოთეკიდან.

ასევე მონიტორინგის მომენტში დაფიქსირდა გარკვეული ლიტერატურა, რომელიც მითითებულია კურსების/მოდულების სილაბუსებში მაგრამ შესაბამისი რესურსი არ იძებნება ბეჭდურ და/ან ელექტრონულ რეესტრში და არც ფიზიკური ერთეული არსებობს;

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უნდა გაავრცელოს ყველა პროცესზე, მათ შორის ბიბლიოთეკის საქმიანობაზე, რაც საშუალებას მისცემს დააფიქსიროს არსებული პრობლემები და თვითონვე მოახდინოს რეაგირება არსებულ დარღვევებზე.

დ) 2.5. **ქვესტანდარტი:** დაწესებულებაში არსებობს „საქმის წარმოების წესები", რომლითაც განსაზღვრულია დოკუმენტბრუნვისა და წარმოების კონკრეტული მექანიზმები. დაწესებულებამ წარმოადგინა: შემოსული და გასული კორესპოდენციის, შიდა მოძრაობის დოკუმენტების რეგისტრაციის, ხელშეკრულებების და მემორანდუმების, ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები 2017, 2016, 2015 წლების, რომლებიც ნაწარმოებია შესაბამისი წესით, თუმცა დაწესებულებას არცერთი ზემოთაღნიშნული ჟურნალი 2018 წლისათვის შევსებული არ აქვს, თუმცა ზონარგაყრილი და ბეჭდით დამოწმებული, დალუქული ჟურნალები ადგილზე დევს. დოკუმენტებს (ბრძანებს, წერილებს და ა.შ.) მინიჭებულია აქვს შესაბამისი „სავარაუდო" რეგისტრაციის ნომრები, თუმცა არცერთი მათგანი ჟურნალებში გატარებული არ არის.
აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გაავრცელოს ყველა პროცესზე, მათ შორის საქმისწარმოებაზე, რაც საშუალებას მისცემს დააფიქსიროს არსებული პრობლემები და თვითონვე მოახდინოს რეაგირება არსებულ დარღვევებზე.

მამია ჯანჯალია დაინტერესდა რამდენ არასრულწლოვან სტუდენტთან აქვს დადებული ხელშეკრულება დაწესებულებას. ნატო ალავიძემ აღნიშნა, რომ გამოვლინდა მხოლოდ ერთი ასეთი ფაქტი, სხვა შემთვევები არ გამოვლენილა. აქვე შენიშნა, რომ აღნიშნული სტუდენტის დას გაესაუბრნენ ექსპერტები, რომელმაც აღნიშნა, რომ სტუდენტის დედა საზღვარგარეთ იმყოფება, ხოლო მამა ავადმყოფობის გამო ვერ ახერხებს დაწესებულებაში მისვლას. აქვე, შენიშნა, რომ კოლეჯის მიერ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ამ სტუდენტის დედა ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან და მის მიერ იქნა ხელმოწერილი სტუდენტის ხელშეკრულება.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ მონიტორინგის ვიზიტის მიზანია, დაწესებულებაში არსებული ხარვეზების გამოვლენა და ამ ხარვეზების გამოსწორების ხელშეწყობა, თუ ამ ხარვეზებს სამართლებრივი შედეგი ჯერ არ მოჰყოლია.
ექსპერტებმა დაადასტუდეს, რომ ამ ხარვეზს სამართლებრივი შედეგი არ მოჰყოლია, ჯერ არ გაცემულა კვალიფიკაცია ამ სტუდენტზე.
კოლეჯის დირექტორმა, რევაზ უზუნაძემ დაადასტურა აღნიშნული ხარვეზის შესახებ. აღნიშნა, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია და ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სტუდენტის დედამ. ხელშეკრულება წარუდგინა საბჭოს.

რევაზ უზუნაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება „აკადემიური შვებულების“ ცნებას არ მოიაზრებს. იზიარებს ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ ხარვეზს და შენიშნა, რომ აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულია, აღნიშნულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ბიბლიოთეკას დაუბრუნდა ყველა წიგნი, რომელიც ბიბლიოთეკაში თითო ეგზემპლარადაა წარმოდგენილი. შენიშნა, რომ სასწავლო პროცესი ვიზიტისას არ მიმდინარეობდა და ამიტომ დაუშვეს ის ფაქტი რომ გარკვეული ლიტერატურა, რომელიც მითითებულია კურსების/მოდულების სილაბუსებში მაგრამ შესაბამისი რესურსი ბიბლიოთეკიდან გატანილი იყო და არ მოიძებნა ბიბლიოთეკაში. დაწესებულებამ ასევე გაივალისწინა ექსპერტთა შენიშვნა და წარმოადგინა CD დისკებზე ჩაწერილი ელექტრონული რესურსები.

კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერმა, მზია ბაკურიძემ აღნიშნა, რომ კოლეჯმა ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოასწორა. აქვე შენიშნა, რომ კოლეჯი ემზადება ავტორიზაციისათვის და მათთვის ღირებულია მონიტორინგის ექსპერტების დასკვნაში არსებული შენიშვნები და რეკომენდაციები მომავალი ავტორიზაციის პროცესის უკეთ წარმართვისათვის.

სხდომისთავმჯდომარემ შენიშნა, რომ ცენტრს აქვს საკონსულტაციო მომსახურება და ამ მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში ასეთი ხარვეზები არ დაფიქსირდებოდა. თუმცა შენიშნა, მოხარულია, რომ კოლეჯმა უკვე გამოასწორა დაფიქსირებული ხარვეზები.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება წარმოება შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის (საიდენტიფიკაციო კოდი: 245419355) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

9. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის №14 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

მამია ჯანჯალიამ, როგორც სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის'' დირექტორმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ პროგრამის დამატებაზე ცენტრში წარმოადგინა განაცხადი და წარმოება დაიწყო, შესაბამისად საკითხი განიხილება საბჭოს სხდომაზე, საბჭოს მიმართა შუამდგომლობით აღნიშნული ცვლილების საკითხი საბჭომ განიხილოს პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვისას. საბჭომ მიიღო აღნიშნული შუამდგომლობა.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 16:40 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ელგუჯა მელაძე

მდივანი
ანასტასია ქიტიაშვილი